

პო 1996: Poe, E.A. *The Poetic Principle*. Poetry, Tales and Selected Essays. New York: The Library of America, 1996. Pp. 1431-1454.

პო 1982: პო, ე.ა. *წითელი სიკვდილის ნიღაბი*. 17 მოთხრობა. ინგლისურიდან თარგმნა, ბოლოსიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ზაურ კილაძემ. თბილისი: „საბჭოთა საქართველო“, 1982, გვ. 95-100.

როზენბერგი 1959: Charles E. Rosenberg. *The Cholera Epidemic of 1832 in New York City*. Bulletin of the History of Medicine. Vol. 33, N1 (January-February, 1959). Pp. 37-49.

როთი 1984: Roth, M. *Inside “The Masque of the Red Death”*. Substance. Vol.13, N 2. Issue 43. Pp. 50-53. John Hopkins University Press: 1984.

სარაზინი 2005: Саразин, Ф. *Mapping the Body*. История тела между конструктивизмом, политикой и опытом. Новое литературное обозрение. № 71, 2005.

ურაკოვა 2010: Уракова, А. *Пустота под маской: Антропологический аспект-рассказа Э.А. По «Маска красной смерти»*. Новые российские гуманитарные исследования. <http://www.nrgumis.ru/articles/207/>

კუინი 1941: Quinn, H. *Edgar Allan Poe: A Critical Biography*. New York, London: 1941.

შულმანი 1970: Shulman, R. *Poe and the Powers of Mind*. ELH. Vol. 37, N 2. John Hopkins University Press: 1970.

ციმერმანი 2009: Zimmerman, B. *The Puzzle of the Color Symbolism in the “Masque of the Red Death”*: Solved at Last? The Edgar Allan Poe Review. Vol.10. N 3. Pp.60-74. Penn State University Press: 2009.

Julieta Gabodze

Georgia, Tbilisi

Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

Pandemics – Source of the Writers’ Creative Inspiration (Based on Art of Akaki Tsereteli, Al. Orbeliani, and Ilia Chavchavadze)

Summary

In the 19th century, there were widespread pandemics of plague and cholera and, unfortunately, Georgia was unable to avoid it. The newspapers published information about epidemics in different countries and warned the population about the proposed danger.

The issue of pandemics has become the source of inspiration even for Georgian writers. The variety of genres (documentary, lyrical-epical, allegorical) was noticeable in their creations. In this respect, Georgian classical writers deserve particular attention.

The article describes publicistic, documentary-memoires, and lyrical creations on the topic of pandemics by Al. Orbeliani, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, and Iakob Gogebashvili.

Key words: Pandemics; Inspiration; documentary, lyrical-epical, allegorical.

ჯულიეტა გაბოძე

საქართველო, თბილისი

შოთა რუსთაველის სახელობის

ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

პანდემია – მწერალთა შემოქმედებითი ინსპირაციის

წყარო

(აკაკი წერეთლის, ალექსანდრე ორბელიანისა

და ილია ჭავჭავაძის შემოქმედების მიხედვით)

მე-19 საუკუნეში მსოფლიოში ფართოდ გავრცელდა შავი ჭირისა და ქოლერისა პანდემია. ჟურნალ-გაზეთებში ყოველდღიურად ქვეყნდებოდა ინფორმაციები სხვადასხვა ქვეყანაში ამა თუ იმ ეპიდემიის გავრცელების შესახებ; სამწუხაროდ, ვერც საქართველო გადაურჩა ამ განსაცდელს. ეპიდემია თავისებურად აისახა ხელოვნებაშიც. მსოფლიო იცნობს პანდემიის თემაზე შექმნილ არაერთ შესანიშნავ ნაწარმოებს. ეს თემა ბევრი ქართველი შემოქმედისთვისაც იქცა ინსპირაციის წყაროდ.

საყურადღებოა ის ჟანრული მრავალფეროვნება, რაც ქართველი მწერლების შემოქმედებაში გამოიკვეთა (პუბლიცისტური, დოკუმენტურ-ეპიკური, ლირო-ეპიკური თუ ალეგორიული). ამ მხრივ, გამორჩეულია ქართველ კლასიკოსთა შემოქმედება. სტატიაში წარმოდგენილია ალექსანდრე ორბელიანის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ პანდემიის თე-

მაზე შექმნილი პუბლიცისტური, დოკუმენტურ-მემუარული და ლირიკული ნაწერები.

ქართულ პერიოდულ პრესაში იბეჭდებოდა ყოველდღიური სტატისტიკური მონაცემები კავკასიის დიდ ქალაქებსა და რეგიონებში ქოლერიით დაავადებულთა და გარდაცვლილთა შესახებ. ინფორმაციები ამა თუ იმ ქალაქის თვითმმართველობის მიერ ჩატარებული პრევენციული ეპიდემიოლოგიური ღონისძიებების შესახებ; ჯანდაცვის კომიტეტის მიერ გამოცემული რეკომენდაციები; ცნობები, სად რამდენი სავლე ჰოსპიტალი თუ საავადმყოფო გაიხსნა. როგორც საგაზეთო ინფორმაციებიდან ჩანს, სამკურნალო ვაგონებიც კი დაუმატებიათ მატარებლებისთვის. ამ თემის შესახებ განსაკუთრებული ჟანრობრივი მრავალფეროვნებით გამოირჩევა გაზეთი „ივერია“, რომელშიც გარდა მშრალი სტატისტიკური ცნობებისა და პუბლიცისტური წერილებისა, მოწინავე სტატიებთან ერთად იბეჭდებოდა ფელეტონები, მათ შორის, სატირული ხასიათისაც, მაგ. გამოქვეყნდა ერთ-ერთი ფელეტონი სათაურით „ხოლერის ქება“, ხელს აწერს „ხოლერის არმიცი“.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ილია ჭავჭავაძის მოწინავე სტატიამ, რომლის შინაარსიც ძალიან გვაგონებს დღევანდელი საზოგადოების ერთი ნაწილის დამოკიდებულებას ეპიდემიასთან, როგორც ჩანს, ისტორია მეორდება. ილია ხოლერის ეპიდემიის შესახებ ესაუბრება მკითხველს, აცნობს მისი გავრცელების სტატისტიკას და ცდილობს საზოგადოება დაარწმუნოს, რომ ქალაქის მმართველობა და სამედიცინო საზოგადოება ყველაფერს აკეთებს ამ ჭირის დასამარცხებლად და მოუწოდებს მათ, რომ არ დაუჯერონ იმ უსაფუძვლო ჭორებს, რომლებსაც ავრცელებენ ხალხში: „ეს ოცი დღეა, რაც ბაქოდამ გვეწვია ხოლერა. ეს შეუბრალებელი ჭირი. დღევანდლამდე ხოლერა მარტო ქალაქში ტრიალებს... და ხოლერით ძლეული თითო-ოროლა კაცი არის. ამ ოც დღეში 91 გამხდარა ავად. ეს ჩვენზედ მოსული სენი აზიის ხოლერად სცნეს... ხმა დაუყრიათ, ვითომც ვინც სნეული მიჰყავთ, ცოცხალი აღარ გამოდისო, ვითომც საღსალამათი კაცები განგებ მიჰყავთ სამკურნალოში და იქ იმისთანა წამლებს აძლევენო, რომ იქვავ იხოცებიანო... ჩვენ გვიკვირს ჩვენისთანა ხალხი, რომელიც ჩვეულია განკითხვას, ჭკუადასმით განჩხრევას, როგორ იჯერებს იმისთანა

ამბებს... აბა, რომელი ჭკვათმყოფელი კაცისთვის დასაჯერებელია ეს უშვერი ამბები, მარტო ადამიანის მტერს, ქალაქის მკვიდრთა დაღუპვის მსურველი თუ მოუვათ ფიქრად ეს ამისთანა ყოვლად ტყუილი... ყველამ უნდა იცოდეს, რომ დღეს ვინც ამ საქმისთვის იღვწის, ქალაქის მოხელეა, პოლიციელი თუ მკერნალი – ვინც ირჯება ხალხის დახსნისთვის, ის თვითონ განსაცდელშია, სცივა, თავს იმეტებს, თავს სდებს ხალხის დახსნისთვის და ცოდვა არ არის, რომ მაღლობის მაგიერ უმადურობა გამოვუცხადოთ და გული გავუტეხოთ რაღაცა ჭორებით“ (ივერია 1892, №140: 1).

შემეცნებითი ხასიათისაა იაკობ გოგებაშვილის სტატია. იგი ვრცელ წერილში საგანგებოდ მსჯელობს ქოლერას წარმომშობი მიზეზებისა და მისი მკურნალობის მეთოდებზე, იმ აუცილებელ პრევენციულ საჭიროებებზე, რომლებსაც უნდა მიმართოს საზოგადოებამ. გარდა ამისდა, წერილი მეტად საყურადღებოა იმ მხრივაც, რომ ავტორს მოუპოვებია მეტად საგულისხმო ინფორმაცია, თუ როგორ მოქმედებს ჰავა და კლიმატი ქოლერის ეპიდემიის გავრცელებაზე. მისი ინფორმაციით: „არიან იმისთანა ადგილები, რომლებსაც ხოლერა არ ეკარება, ეტყობა, რომ ამისთანა ადგილებში ხოლერის ჭია ვერ ცოცხლობს, იღუპება. რა თვისება ჰაერისა და მიწა-წყლისა იცავს ამ ადგილებს, ჯერ საუბედუროდ გამოუკვლეველია, საფრანგეთში მაგალითად, ასეთი ადგილი არის ლიონი, რომელსაც ხოლერა არასდროს არ სწევია, ამგვარივე ქალაქი არის რუსეთში, მაგალითად, პეტერგოფი, პეტერბურგის მახლობლად“ („ივერია“ 1892, №183: 2).

ი. გოგებაშვილის დაკვირვებით საქართველოშიც ყოფილა ასეთი უსაფრთხო რაიონი: „ჩვენდა სასიხარულოდ ამგვარი ადგილი, დაცული ხოლერისაგან, საქართველოშიც ჩნდება. **მანგლისს**, საიდანაც ამ წერილს ვწერს თავის დღეში ხოლერა არ უნახავს. დიდხოლერობის დროსა, 1830 წელსა, თურმე, ნახევარი თბილისი მანგლისსა და მის გარემემო ყოფილა გახიზნული და ხოლერა აქ მაინც არ გაჩენილა. ასევე, ხოლერას მოშორებულია თითქმის მთელი საბარათიანო, კოჯრიდან მოყოლებული თითქმის ახალციხემდე“ (ივერია 1893, №183, იქვე).

სხვათა შორის, გოგებაშვილის ეს დაკვირვება სარწმუნო ხდება, მეტიც, უსაფრთხო ადგილების გეოგრაფიული არეალი უფრო

ფართოვდება, როცა გავეცნობით ალ. ორბელიანის დოკუმენტურ-მემუარულ ჩანაწერებს. საგულისხმოა, რომ მწერლის თხზულებათა აკადემიური ოთხტომეულში, რომელიც გამოსაცემად მზადდება შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, პირველად გამოქვეყნდება რამდენიმე წერილი, რომლებშიც ავტორი დაწვრილებით აღწერს საქართველოში სხვადასხვა დროს გავრცელებული შავი ჭირისა და ქოლერას ეპიდემიის შესახებ. ალ. ორბელიანი, როგორც დოკუმენტალისტი, თავის უცნობ და ნაკლებად ცნობილ მემუარულ ჩანაწერებში დეტალურად აღწერს მე-19 საუკუნის საქართველოში ეპიდემიების გავრცელების ისტორიას.

ალ. ორბელიანის ჩანაწერები იმ მხრივაცაა საინტერესო, რომ იგი რამდენიმე წერილს უძღვნის 1811 წელს გავრცელებული შავი ჭირისა და 1830 წლის ხოლერის ეპიდემიას. ერთი ჩანაწერის მიხედვით კი იგი ზოგადად აღწერს ქალაქში ეპიდემიით გამოწვეულ ვითარებას, როცა ხალხი ქუჩებში ცვიოდა და პირდაპირ ურმებით გადაჰყავდათ. „ქ. ტფილისს დიდი ჭირი გაჩნდა, რომელთაცა ერთა შორის შერყეულობა იყო. ერთს დღეს, მე მშობელთ შეუტყობრად ავლაბარში გაველ და სიცელქის გამო მარტო დავიარებოდი, კულად ჩემი უბედურობის გამო გული შემეწუხდა და მაშინვე წავიქეც, როდისაც თვალნი ავახილე, ვნახე, რომ ჭირიანი კაცების გვერდით ვიწექი (როდესაც ტფილისს ჭირი გაჩნდა, არამც თუ ჭირიანებს, მცირეთ ავათ ვინმე რომ გახდებოდა, ისიც ჭირიანებთ შორის მოემწყვდებოდა და ქალაქს გარეთ ერეკებოდნენ). მე რომ წაქცეული ვენახეთ, ამ დროს პოლიციის რუსის დესეტნიკებს ჭირიანები თურმე მოჰქონდათ ურმით, მაშინვე მე ავეწიეთ და ურემში ჩავეგდეთ, მე რომ ეს ვნახე, მაშინვე ტირილი დავიწყე, მაგრამ ვინ გამიკითხავდა?! ქალაქს გარეთ, რომ გაგვიტანეს, იქ რალაც მოთანამდებე თ. დავით ეგნატის ძე თუმანოვი დამხვდა. მე რომ შემამხედა, მაშინვე მიცნა და ურმიდგან გადმომაცვანინა. მე ყოველივე უთხარი, ჩემ დედმამას შეუტყობრად სიარული და გულს შეწუხება. ორი დესეტნიკი გამამატანა და შინ გამამგზავნა. ჩემი დედმამისაგან დიადი რისხვა მივიღე. საკურველი იყო, არც მე გავხდი ავათ და არც შინაურნი. როდისაც უხილავი ძლიერე-

ბა ჰვარავს ადამიანს, ყოვლის საშინელებისაგან გამოიხსნის“ (ორბელიანი ხეც S 2490).

აღ. ორბელიანი შემდეგ მოგონებაში („1811 წლის ჭირი საქართველოში“) წერს, რომ შავი ჭირის გამო: „ზაფხულში ქალაქის მოსახლეობა გაიხიზნა და მარტყოფის მინდვრებს შეაფარა თავი. „მე მაშინ ცხრა წლისა ვიქნებოდი (დაბადებულია 1802, ჯ. გ.). ეს ხმა ყველასთვის საშინელი იყო. იმახდნენ აქ გაჩნდა, იქ გაჩნდა, ეს მოკვდა ის მოკვდა, ის გაიხიზნა, სულ ეს ხმები იყო, ზევით და ქვევით, ქართლში და კახეთში, და ეს ხმები აქაც მოდიოდა, ტფილისში, სადაც აქაც იყო გაჩენილი ეს ჭირი... მიდიოდნენ სოფლებში, სადაც ჯერ კიდევ არ გაჩენილიყო... ჩვენამდისინაც მოვიდა ეს რიგი, რომ ჩემნი დედ-მამანიც უნდა აყრილიყვნენ სულერთიან სახლეულობითა სოფლისკენ სადმე წავსულიყავით და საჩქაროდ წავედით ს. მარტყოფისკენ, ამბობდნენ იქ არ არის გაჩენილი ჭირით“. დოკუმენტალისტი მწერალი მოგვითხრობს, როგორ, რა მეთოდებით ებრძოდა მოსახლეობა ამ სენს. როგორც ჩანს, თავადაც გადაუტანია დაავადება, თუმცა კი არავის გადასდებია, მიუხედავად იმისა, რომ იმ საველე პირობებში ის იზოლირებული ვერ იქნებოდა (ორბელიანი 2009: 35).

პირველი მოგონების მიხედვით, ძნელია ეპიდემიის კონკრეტული თარიღის დადგენა, თუმცა ჩვენი დაკვირვებით, აქ შავი ჭირის ორი სხვადასხვა ეპიზოდი უნდა იყოს აღწერილი, რაც იმაზე მიანიშნებს, რომ შესაძლოა ეს ეპიდემია 1811 წელზე ადრეც ყოფილა საქართველოში.

საგანგებო წერილს უძღვნის ალ. ორბელიანი ქოლერის ეპიდემიას, რომელიც 1816-1818 წწ. ინდოეთ-ჩინეთიდან დაიწყო და შემდეგ გავრცელდა იერუსალიმში, ევროპასა და კავკასიაში, მემუარების მიხედვით, საქართველოში მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1830 წელს, მოუღწევია. – „როგორც მახსოვს, ეს დრო იყო აგვისტოს თვის დამდეგი, ჩვენებურათ მარიამობისთვე იმ ხოლერის ამბავსა ვწერ რაც მე მინახამს ან გადამხდა, უნდა მართლად ითქვას, თორემ წერილს არ შეეფერება დაფარვა“ (ორბელიანი ხეც S1649-ა).

აღ. ორბელიანის წერილის (“პირველი ხოლერა აქ ტფილისში“ (1830 წელსა რაც ვიცი, ანუ შემხვედრია). შინაარსიდან ირკვევა,

რომ იგი თვითმხილველი და მონაწილეა ამ პროცესებისა. ამდენად, ეს დოკუმენტური ჩანაწერები თანაბრად საყურადღებოა როგორც ისტორიკოსებისთვის, ასევე მედიცინის ისტორიის მკვლევართათვის. მოგონებები იძლევა გარკვეულ წარმოდგენებს ეპიდემიის პირობებში ქალაქის ცხოვრების ადმინისტრაციული ორგანიზების თაობაზეც. ქალაქის სავაჭრო ობიექტები ძირითადად დაიხურა, ვინაიდან „დუქნების პატრონები სულ გაქცეულიყვნენ“. ამავე დროს, ქალაქში დარჩენილი მოსახლეობის კვების უზრუნველსაყოფად დადგენილ იქნა გარკვეული მორიგეობა – „პოლიციამ გვიბრძანა, რიგით უნდა ვიდგეთ ყასბები აქ, რომ ვინც რუსის ოფიცრები დარჩნენ აქა, ან კიდევ რიგიანი სახლობანი, იმათ ხორცი ვაძლიოთ“.

„ამ წელიწადის ორი თუ სამი წლის წინათ ამბები მოდიოდა ინდოეთისა: ერთი რაღაც სნეულობა გაჩენილა, ძალიან სწყვეტს ხალხსა, რ~ლსაცა უწოდებენ ხოლერასაო ...არ იქნა ჩქარა გასწით, თათრის მეიდანში შემოვიდა... ჯერ ბაზარში ჩავიარე, სულ დუქნები დაკეტილი იყო. მასუკან თათრის მეიდანში გაველ, იქ, აქა იქ წაქცეული კაცები, ზოგს რკინის ფერი ედო სახეზე და იკვლანჭებოდა, ზოგს პირიდგან ზაფრა ამოსდიოდა, სამი კაცი კიდევ მამკვდარიყო და სულ სხუადა სხვის სახით ეყარნენ“ (იქვე). მოგონებაში მოცემული ინფორმაცია საინტერესოა ფოლკლორისტებისა და მედიცინის ისტორიის მკვლევართათვის: ავტორი აღწერს დაავადების კლინიკურ სურათს; საუბრობს „ქოლერის ქარზე“, როგორც დაავადების გამომწვევ მიზეზებზე და ამ წარმოდგენების შესაბამისად ჩატარებული რიტუალის შესახებ. დასახელებულია ავადმყოფობის სამკურნალოდ გამოყენებული სხვა სამუალებები: კერძოდ, „სისხლის გაღება“, ცივი წყალი და „კახური შავი ღვინო“, რომლის მიღება თავად ალ. ორბელიანს უკავშირდება. რითაც მას რამდენიმე ადამიანის სიცოცხლეც კი გადაურჩენია, უნებლიედ. პირველ შემთხვევაში, მას ერთი მოხელისათვის ჯერ წყალი დაუსხამს, შემდეგ კი შავი ღვინო მიუცია, მეორეჯერ კი მან ამავე მეთოდით ახალგაზრდა კაცი გადაარჩინა სიკვდილს.

საყურადღებოა, რომ ღვინის სასარგებლო თვისებებს დიდი ხანია იცნობდნენ და არ მხოლოდ ყოფაში, არამედ მედიცინაშიც იყენებდნენ. მაგალითად ცნობილია, რომ ეს სასმელი ორგანიზ-

მზე ზოგად მომმარაგებელ გავლენას ახდენს, ხელს უწყობს სასიცოცხლო ძალების აღდგენას. ღვინოს მკაფიოდ გამოხატული ანტიბაქტერიული თვისება აქვს. იგი ისეთი დაავადებების გამომწვევებსაც თრგუნავს, როგორებიცაა: ტუბერკულოზი, ქოლერა და მალარია. მედიცინის ისტორიკოსი, პროფესორი მიხეილ შენგელია, კახური შავი ღვინის, როგორც სამკურნალო საშუალების, გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ქოლერის მსუბუქი ფორმით დაავადებულთათვის ეს ხერხი შეიძლება ეფექტური ყოფილიყო, რადგან ავადმყოფი ღვინის სახით სითხეს იღებდა. ღვინო სუსტი, მაგრამ მაინც ერთგვარი სადეზინფექციო საშუალების ფუნქციასაც შეასრულებდა, გარდა ამისა, ტანინის შემცველობის გამო ღვინო გამოიწვევდა კუჭ-ნაწლავის შეკვრას და დაიცავდა სითხის დაკარგვისგან.

სულისშემძვრელია ალ. ორბელიანის თვალით დანახული დაცარიელებული ქალაქის სურათის აღწერაც. „დავიწყე ქუჩაში ხეტება სხვადასხვის ფიქრებითა, ვის ვნახამდი, აღარავინ აღარ ჩანდა, თუ კიდევ ვინმე იყო დარჩენილი, კარები მაგრა დაკეტილი ჰქონდათ და სანთლის შუქი ფანჯარში ძლივს ანათებდა. ასე გაშინჯეთ ძაღლის ყეფაც აღარსაიდგან აღარ ისმოდა, ისე ყოველი ბუნების ხმა გაკმენდილი იყო, მაშინ როდესაც რომ მხიარული ქალაქის ხალხი სიმღერ ძახილითა აივლიდნენ ჩაივლიდნენ, ანუ დაფნალარა, ანუ დაირა და ჭიანური თავის თარით, ვინლა დაუკრავდა ამ საკრავთა, ყოველი ეს იმ დროს მკვდარი იყო, ნაცვლად ამის, რადაც დაბურვილი მწუხარების სიჩუმე აწვა ამ ჩუენს ტურფა ქალაქს ტფილისს“ (იქვე).

ალ. ორბელიანი ამავე ჩანაწერში გაკვრით, მაგრამ მაინც ჩამოთვლის შემდეგ წლებში საქართველოში ხოლერის ეპიდემიის შემთხვევებსაც: „წარმოიდგინეთ, მე იმისთანა საშინელს ხოლერას გადაურჩი მშვიდობით ვიყავ. 1847-სა წელსა ზაფხულის დროს, კიდევ ხოლერა რომ გაჩნდა საქართველოში, სადაც კიდევ ხალხი ბევრი დაიხოცა, კიდევ მშვიდობით გადურჩი. შ`დგომ კიდევ იყო ორი თუ სამი ხოლერა საქართველოში, იმასაც მშვიდობით გადურჩი. მაგრამ 1865-ს წელსა**, შემოდგომას რომ გაჩნდა ხოლერა, მაშინ მეც მამნახა იმან და თავისი ძალა ამოქმედა ჩემზედ“ (ორბელიანი ხეც S 1649-ა).

ქოლერის პანდემიამ საუკუნის ბოლოს კიდევ მოიქნია კუდი. 1892 წელს იგი კვლავ გავრცელებულა და როგორც აკაკი წერეთლის ერთი წერილიდან ვიგებთ, ისიც აუფორიაქებია ამ სასტიკ ეპიდემიას. აკაკი სასწრაფოდ გარიდებია თბილისს, საჩხერეში „გაქცეულა“ და იქიდან სწერდა კირილე ლორთქიფანიძეს: „დავემწყვერი ამ ცუდ დროს საჩხერეში და აღარაფერი ვიცი, რა ხდება ქვეყნიერებაზე. დროს კარგათ ვატარებ, ე. ი. მარტო ვარ ჩემთვის და ვსწერ და ვკითხულობ და თან სახლს ვაშენებ ნელ-ნელა. ავაშენებთქო რომ ვამბობ, ესე იგი დავაქციე და თვითონ კარავში ვარ. ერთი შემთხვევა იყო აქ ხოლერის, ჯერ მეტი არ ყოფილა და თუ კიდევ იქნა, ოსეთში წავალ, ასე ვივლი სულ იალბუზამდი“ (წერეთელი 1963: 56). მართალია, აკაკი ფიზიკურად გადაურჩა ამ დაავადებას, მაგრამ ეპიდემიას „გვერდი მაინც ვერ აუარა“ და ალევორიული ლექსით გამოეხმაურა, იმავე წლის სექტემბერში ქუთაისში დაიბეჭდა აკაკი წერეთლის ლექსი „ხოლერა“ – მესტირული შაირები აკაკისა ტიპო-ლიტოგრაფია კ. ნ. გამრეკელოვისა. წიგნაკი 16 გვერდიანია, ახლავს ცენზორის ნებართვა Дозволено цензурою. Тифлиси, 4 сентюбря. 1892 года, типо-литография И Гамрекелова в Кутаиси. ლექსი თორმეტ თავადაა დაყოფილი. ზოგიერთი ადგილი კუპიურებითაა წარმოდგენილი, მაგალითად, მეორე თავიდან ამოღებულია ორი სტრიქონი, III თავიდან – ერთი, XI თავი მთლიანადაა წაშლილი; XII თავიდან ორი სტრიქონია ამოღებული.

ქუთაისის სახელმწიფო მუზეუმის კირილე ლორთქიფანიძის არქივში ჩვენ მივაკვლიეთ „ხოლერას“ ერთ ნაბეჭდ ცალს, რომლის ყველა ლუწი გვერდი დამოწმებულია ცენზორის მიერ. სწორება წითელი მელნითაა შესრულებული და ბოლოში ახლავს ასეთი წარწერა: Дозволено цензурою на пятидесяти восьми страницах 12 декабря 1892 года. Тифлиси Кн. Р. Эристави.

ხელნაწერზე თვალის ერთი გადავლევაც საკმარისია, რომ მივხვდეთ – ის საცენზურო კომიტეტში ყოფილა წარდგენილი. წითლად გადახაზულია ის ადგილები, რომლებიც შემდეგ ნაბეჭდ ვარიანტში ვეღარ მოხვდა. როგორც აღვნიშნეთ, 1892 წელს ლექსი დაჩეხილი სახით გამოიცა. 1892 წლის ოქტომბერში კი აკაკის

შეუდგენია ხელნაწერი კრებული „სალამური“ და გადაუცია იგი კ. ლორთქიფანიძისთვის, რომელსაც გადაუწერია კრებული საცენზურო კომიტეტში წარსადგენად და განუზრახავს (ალბათ ავტორის სურვილით) მასში სრული სახით ლექსი „ხოლერაც“ შეეტანა. გამომცემელს აღარ გადაუწერია ლექსი და უსარგებლია მისი ნაბეჭდი ეგზემპლარით, რომელშიც ხელით აღუდგენია ცენზორის მიერ ამოღებული ადგილები, შემდეგ ორივე ერთად გადაუწომრავს („ხოლერას“ ნაბეჭდი ცალი 16 გვერდს მოიცავს, „სალამურის“ ხელნაწერი კრებული კი 42-ს) და ამ სახით წარუდგენია ცენზორს. „სალამურის“ ხელნაწერს თავფურცელზე ახლავს ცენზურის ნებართვა: „Дозволено цензурою на пятидесяти восьми страницах с исключением на страницах“ 7,8,9,13,15,18,45 и 53. „12 декабря 1892 года. Тифлисъ Кн. Р. Эристави“ (გაბოძე 2010: 175).

ამრიგად, ცენზორმა კვლავაც არ მისცა უფლება ახალ გამოცემაში აკრძალული ადგილების აღდგენისა. მაინც რას წერდა აკაკი ამ ლექსში. უნდა ითქვას, რომ აკაკის შემოქმედებაში წმინდა გიორგის განსაკუთრებული ადგილი აქვს მიკუთვნებული, სამას სამოცდახუთი დღიდან სამას სამოცდასამი წმინდა გიორგისააო, – ამბობს აკაკი ერთ პუბლიცისტურ წერილში, ლექსში – „წმინდა გიორგი და მისი რაზმი“, – კი წმინდანი გლეხკაცის მხსნელად და შემწედ გამოიყვანა. საინტერესოა, როგორ არის გაშლილი წმინდა გიორგის სახე „ხოლერაში“? ლექსში მოხრობილია, რომ ღმერთი განრისხდა ქართველების ზნედაცემულობისა და გადაგვარების ხილვით, ამიტომაც გადაწყვიტა, მათთვის სასჯელად ხოლერა მოევლინა. ამის გამგონე წმინდა გიორგი შეწუხდა და სთხოვა შემოქმედს: ნუ დასჯიდა მისსავე შექმნილ ერს, მაგრამ უფალი უარზე დადგა და დიდი ხვეწნის შემდეგ მხოლოდ იმის ნება დართო წმინდანს, რომ თან გაჰყოლოდა ხოლერას და მარტო ავისმქნელებთან მიეშვა იგი. დაიმედებულ გიორგის, რომ ასეთი ადამიანი ბევრი არ იქნებოდა ქართველთა შორის, ჯერ მდიდარი, გაქსუებული მებატონე შემოვიდა, რომელსაც სამართალზე ხელი ჰქონდა აღებული და საწყალ ღარიბს არ ინდობდა:

შეხედა წმინდა გიორგიმ,
გადააქნია თავია...
– „ეს თავადაზნაურობა
რა ცუდი სანახავია:
თავისი კარგი დაჰკარგა,
მოიმკო სხვისი ავია,
აღარ სწამს თავის ქვეყანა
და თავის სალოცავია!

წმინდანმა დაუნანებლად დაუთმო იგი ხოლერას. შემდეგ მას მთვრალი და უქნარა გლეხკაცი შემოეყარა, რომელსაც უფალიც დავიწყებოდა და საკუთარი მშიერ-ტიტველი ოჯახიც:

ეწყინა წმინდა გიორგის,
მუხლზე დაიკრა ხელია!..
სთქვა: „მაბეზლარი და ლოთი
გლეხკაცათ რა სათქმელია?“
წმინდა გიორგიმ აღარც ის შეიბრალა:
„აღარ ვარ ამის მოსარჩლე
და კალთის დამფარველია!
ამისი ბინაც აქ იყოს,
სადაც ხოლერის სთველია!..“

ხოლერას ვერ გადაურჩნენ ვერც მღვდელ-დიაკვნები.

ეს ამბავი მოთხრობილია ლექსის XI თავში, რომელიც მთლიანად ამოიღო ცენზურამ. ძნელია, დაბეჯითებით ვამტკიცოთ, რატომ თქვა მათ დაბეჭდვაზე უარი რაფიელ ერისთავმა – სამღვდელოების სახელს გაუფრთხილდა, თუ იმაზე მინიშნებას, რომ ქართველ სასულიერო პირთა ზნეობრივი დაცემა რუსეთის დამპყრობლურმა პოლიტიკამ განაპირობა. ვნახოთ ეს თავი:

მერე სთქვა: „ახლა გავსინჯოთ მღვდელი და დიაკონია!.. ღირსი არ შემხვდა სხვა წრეში, იქ კი ვიპოვენი მგონია“. (– ეტყობა, მათი ანბავი ცაში არ გაუგონია!). გამოიცვალა წესები, წახდენ ჟამნი და დრონია... სადღაა მღვდელი ქართველი? სხვაგვარათ თავმომწონია!..	წიგნების კითხვა ეშლება, არც ესმის ტიბიკონია, დათვურათ ბღავის და ჰფიქრობს, რომ ტკბილი იადონია! ხატს წმინდა სანთელს არ უნთებს, შიგ გარეული ქონია, საწყალ მრევლს გამოუღია დრამით ძალი და ღონია, სხვა გზა ადგია, მაგრამ ჯერ კიდევ გასავალს ფონია!..
---	--

(ამ პრობლემას არა ერთხელ შეეხო აკაკი სხვა ნაწარმოებშიც. „დაკარგული ქრისტიანობა“, „სნეული“, პოემა „ასი წლის ამბავი“, რომელიც პოეტის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა). ბოლოს შემწუნებული წმიდა გიორგი მიხვდება, რომ ვერავის გადაარჩენს, რადგან მთელი ერი წარწყმედილა და მუხლმოყრილი, ტირილით შესთხოვს მამა ღმერთს, შეუნდოს ცოდვილ ერს. მის ხვეწნას ისმენს მაცხოვარი და დაამშვიდებს წმინდანს, რომ საქართველო არ განადგურდება, რადგან ღვთისმშობლის წილხვედრია. ლექსი იმედიანად მთავრდება:

ვენაცვა წმინდა გიორგის,
იმის თეთრ რაშს და შუბსაო!
მთავარი არის მძლეთამძლე,
ვინ გაუბედავს ჩხუბსაო!
ისე გაბერავს ხოლერას,
როგორც ტიკჭორას, რუმბსაო!
მალლით ნათელი ადგია
იმის ბრწყინვალე შუბლსაო.
ამ შაირების გამომთქმელს
სწყალობდეთ თითო რუმსაო.

როგორც ვხედავთ, ლექსის ფინალში აკაკი ერთგვარი იუმორით მიანიშნებს მკითხველს, რომ ლექსში გადმოცემული ამბავი გამოგონილია, თუმცა მისი მიზანდასახულება ისაა, რომ შეახსენოს თანამემამულეებს: ყოველგვარი განსაცდელი, მათ შორის, ხო-

ლერის ეპიდემიაც, ღვთის რისხვაც, ცოდვების სანაცვლოდ მოვლენილი, და მისი თავიდან აცილებაც შესაძლებელია, თუკი ადამიანები მართალ გზას დაადგებიან.

აკაკი აგრძელებს თავისი დიდი წინაპრის; დავით გურამიშვილის პოეტურ ხაზს, თუმცა მის ლექსში უფრო ხალხური მოტივები სჭარბობს თეოლოგიურ და ფილოსოფიურ განსჯას (შემთხვევითი არაა, რომ ლექსს ქვესათაურადაც მიწერილი აქვს – „მესტირული შაირები“).

წმინდანთა სახელებისა და ღვაწლის მხატვრული ხორცშესხმის გზით პოეტი ქართველებს უფლის მცნებებს შეახსენებდა და განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა საქართველოს ღვთისმშობლისადმი წილხვდომილობას, როგორც დიდი იმედისა და, იმავდროულად, უდიდესი მოვალეობის ნიშანს.

დამოწმებანი:

გაბოძე 2009: გაბოძე ჯ. აკაკი წერეთლის თხზულებათა გამოცემები. თბილისი: 2009.

გაბოძე 2010: გაბოძე ჯ. „აკაკის „ხოლერას“ თავგადასავალი“. *ლიტერატურული ძეგლები*, XXXI. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2010

ივერია 1892, №183: სვიმონიძე ი. (გოგებაშვილი) *ფელეტონი*. „ივერია“, №183. 1892.

ივერია 1892, №140: ილია ჭავჭავაძე. *მოწინავე*. „ივერია“, №140. 1892.

ორბელიანი 2009: ორბელიანი ალ. „1811 წლის ჭირი საქართველოში“. წგ.-ში: *მე-19 საუკუნის ქართველი მოღვაწენი ავტობიოგრაფიული პროზა მემუარები, პოლიტიკოსთა ბიოგრაფიები*. საოჯახო ბიბლიოთეკა 25 ტომად. რედაქტორი ზაზა აბზიანიძე. თბილისი: 2009.

ორბელიანი ხეც S 1649-ა: ორბელიანი ალ. „პირველი ხოლერა აქ ტფილისში“ (1830-სა წელსა რაც ვიცი ანუ შემხვედრია). ხეც S 1649-ა.

ორბელიანი ხეც S 2490: ორბელიანი ალ. ცოტაოდენი ამბავი ყაფლანიტგან ჯამბაკურ-ორბელიანი (ალექსანდრე ორბელიანისაგან ბავშვობაში გადატანილი უბედური შემთხვევები)

წერეთელი 1892: წერეთელი ავ. „ხოლერა“ – მესტირული ლექსები აკაკისა. ქუთისი: ტიპო-ლითოგრაფიული სტ. ნ. გამრეკელოვისა, 1892.

წერეთელი 1963: წერეთელი ავ. *თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად*. თბილისი: 1963. <http://mastsavlebeli.ge/?p=26674>